ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამგორის რაიონის მაჟორიტარი წევრის ქეთევან მამულაშვილის ანგარიში 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში შედგენილია საქართველოს ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ქეთევან მამულაშვილი - საკრებულოს წევრი, სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორების“ წევრი, საკრებულოს იურიდიული კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრი, გენდერული საბჭოს წევრი, ევროპის რეგიონთა კომიტეტის აღმოსავლეთ პარტნიორობის კონფერენციის (CORLEAP)დელეგაციის წევრი.

სამგორის რაიონის მაჟორიტარი წევრის საქმიანობა საკრებულოში

სამგორის მაჟორიტარი წევრი ქეთევან მამულაშვილი მთელი წლის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა ქალაქ თბილისის საკრებულოს საქმიანობაში.

მოგახსენებთ, რომ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ბიუროს 28 სხდომა და საკრებულოს 29 სხდომა. აღნიშნულ სხდომებზე მიღებულია 127 დადგენილება და 397 განკარგულება.

ქეთევან მამულაშვილი დაესწრო 25 სხდომას და მიიღო მონაწილეობა 198 განკარგულებასა და 92 დადგენილების პროექტში.

ინფორმაცია ქეთევან მამულაშვილის ფრაქციაში ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები“ გაწეული საქმიანობის შესახებ

,,ქართული ოცნება-კონსერვატორების“ შემადგენლობაში შედის საკრებულოს წევრები. ფრაქციის წევრები თვეში ერთხელ მართავენ ფრაქციის სხდომას საკრებულოში მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. ფრაქციის წევრები ასევე წარმოდგენილი არიან საკრებულოს

სხვადასხვა კომისიებში. ფრაქციის სხდომებზე ისინი განიხილავენ საკრებულოს კომისიებში მიმდინარე საკითხებს და აჯერებენ საერთო პოზიციას. წელს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორების“ მიერ ჩატარებულია 12 სხდომა და განხილული იქნა 17 საკითხი.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთან ერთად 2017 წლის დეკემბრიდან 2018 წლის ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდა 33 სხდომა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების რაოდენობა იყო 53.

ინფორმაცია კომისიებში მუშაობის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამგორის რაიონის მაჟორიტარი წევრი ქეთევან მამულაშვილი აქტიურად არის ჩართული იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მუშაობაში. კომისიამ ჩაატარა 31 სხდომა, სადაც განხილული იქნა 223 განკარგულების და 111 დადგენილების პროექტი.

ქეთევან მამულაშვილი დაესწრო 25 სხდომას და მიიღო 198 განკარგულებასა და 92 დადგენილების პროექტში მონაწილეობა.

კომისიაში მუშაობის დროს განხილული იქნა უმნიშვნელოვანესი საკითხები. მათ შორის, არის წარმოდგენილი მთავრობის დამტკიცება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, სადაც პრიორიტეტად განსაზღვრულია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა-განვითარება, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება. ასევე მნიშვნელოვანი ზრდა არის გათვალისწინებული კეთილმოწყობის ღონისძიებებისათვის. პრიორიტეტად არის განზღვრული გამწვანების ღონისძიებები და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, ასევე ბიზნესის სტიმულირება და ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია, ასევე ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

უნდა აღინიშნოს საკრებულოს დადგენილებაში ცვლილება, რის საფუძველზეც ბიუჯეტში მოძიებული რესურსი გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე და ქვეპროგრამებზე:

- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია 4,/59.3
- ათასი ლარით ვაგონების კაპიტალური შეკეთება-მოდერნიზაციის მიზნით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში 14,2 ათასი ლარით წყალსადენი ქსელის მოწყობის მიზნით;

- კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში 350,0 ათასი ლარით ფონიჭალა 3-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოებისათვის;
- დასუფთავების ღონისძიებები 3 000,0 ათასი ლარით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 4 ოქტომბრის N37,09,714 განკარგულების შესრულების მიზნით;
- გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში 22,0 ათასი ლარით;
- 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში ვაკის რაიონისათვის განკუთვნილი ასიგნებები - 8,7 ათასი ლარით სტიქიის შედეგად დაზარალებულ ერთი პირისათვის საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად ფულადი დახმარების გასაცემად;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში 170,0 ათასი ლარით თუნუქის სახურავებისა და ლიფტების მიმდინარე შეკეთების მიზნით;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში 40,0 ათასი ლარით;
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია 377,0 ათასი ლარით;
- ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება 643,5 ათასი ლარით;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება 140,0 ათასი ლარით;
- ,,C" ჰეპატიტის დიაგნოსტიკა 215, 0 ათასი ლარით;
- ტრანსპლანტაცია 1 000,0 ათასი ლარით;
- სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება 710,0 ათასი ლარით;
- უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში 28, 0 ათასი ლარით;
- უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში 60,0 ათასი ლარით;
- უფასო სასადილოებით მომსახურება ნაძალადევის რაიონში 208, 5 ათასი ლარით (პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების წლის ბოლომდე მომსახურების უზრუნველსაყოფად);
- დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკონპენსაციო თანხები ვაკის რაიონში 47,3 ათასი ლარით (სტიქიის დაზარალებულთა ქირების ასანაზღაურებლად);
- დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკონპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში 8,0 ათასი ლარით;
- სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება 20, 0 ათასი ლარით;

ასევე თბილისის რაიონებში მცხოვრები სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის საახალწლო ნობათების შესაძენად,არსებული რესურსების გათვალისწინებით, იზრდება სხვა სოციალური ღონისძიებები რაიონებში, სულ 560, 9 ათასი ლარით. ასევე იზრდება კულტურის ღონისძიებები 300,0 ათასი ლარით.

კომისიაში მუშაობის დროს განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-,,ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-,,ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის ,,საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები“ გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების დადების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი.

- M2 კატეგორიის ავტობუსებით ,,ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
- ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილსის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- სამართალდარღვევათა კოდექსის N125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125/2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ,,საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შეცვლის, აღრიცხვა-ანგარიშების, გასაჩივრების და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილსის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- ,,მშენებლობის სანებართვო პირობების შესრულების დადადსტურების თაობაზე აქტის გამოცემის დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2017 წლის ნოემბრიდან დეკემბრის პირველ კვირამდე ქეთევან მამულაშვილი იყო ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრი. ამ პერიოდის განმავლობაში სულ გაიმართა 3 სხდომა , რომელზეც განხილულ იქნა 4 საკითხი.

2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის პირველ ნოემბრამდე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად ორგანიზება გაუწია 17 კომისიის სხდომის ქეთევან მამულაშვილი დაესწრო 5 კომისიის სხდომას. შესწავლილი საკითხები:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე მერი), მერის მოადგილეების, მერიის ადმინისტრაციის უფროსის, საქალაქო სამსახურის უფროსების, რაიონის გამგებლების თანამდებობებზე დანიშვნაზე თანხმობის მიცემასთან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩევასთან დაკავშირებით.
- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილი (საკრებულოს-#12-031733421-03 30.11.2017) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის #30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ პროექტი.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ქვეპროგრამის განხორციე

ლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებ ულოს დადგენილებისპროექტის განხილვა.(12-03180033-03 03.01.2018წ.)

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოცილური მომსახურების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (#12-0318012172-03).
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ (#12-0318012172-03).

ქეთევან მამულაშვილი ასევე აქტიურად იყო ჩართული სარევიზიო კომისის მუშაობაში, რომლის წევრიც გახლავთ 2018 წლის 25 მაისიდან. 6 ჩატარებული სხდომიდან დაესწრო 5-ს და შეისწავლა 9 საკითხი.

ინფორმაცია ევროპის რეგიონთა კომიტეტის აღმოსავლეთ პარტნიორობის კონფერენციის (CORLEAP) დელეგაციის წევრის მონაწილეობის შესახებ

- 29 ივნისს საქართველოში ჩამოვიდა ევროსაბჭოს კონგრესის ადგილობრივი და რეგიონული კონგრესის გენ.მდივანი ანდრეას კიფერი. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციისა და ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული კონგრესის მიერ ერთობლივად ორგანიზებულ სემინარზე “საქართველოს დელეგაციები ევროპულ ინსტიტუციებში - სამოქმედო გეგმები ქეთევან მამულაშვილმა საქართველოს დელეგაციის სახელით მოხსენება გააკეთა საქართველოს დელეგაციის 2018-2019 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ. კერძოდ, ყურადღება გავამახვილე შემდეგ მიმართულებებზე:
- დემოკრატია და ღია მმართველობა - საჯარო ადმინისტრირების რეფორმა, ელექტრონული მმართველობა, კიბერ-უსაფრთხოება, მოქალაქეების ჩართულობის გაზრდა;
- ეკონომიკური თანამშრომლობა - მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, დასაქმება, ინვესტიციების მოზიდვა;
- ახალგაზრდული მიმართულება- გაცვლითი პროგრამები, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით;

- ფინანსური დახმარება - EU, EIB, EBRD თანამშრომლობის გაძლიერება.

ამ მიმართულებებით დელეგაციის მუშაობა ასოცირების შეთანხმების ეფექტური იმპლემენტაციისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატის ეფექტურობისათვის ადგილობრივი თვითმართველობის დონეზე ძალიან მნიშვნელოვანია.

- 24 სექტემბერს, ქ.კიევში აღმოსავლეთ პარტნიორობისთვის რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების კონფერენციის (CORLEAP) მე-8 ყოველწლიური შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მონაწილეებმა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ადგილობრივი თვითმმართველობის გამჭირვალობის, მოქალაქეების ჩართულობის, ეკონომიკური აქტივობის განვითარების, ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობის, ასევე ევროკავშირთან გრძელვადიანი ფინანსური დახმარების საკითხები განიხილეს.კონფერენციისმუშაობაში მონაწილეობა ასევე ევროკავშირის რეგიონალური კომიტეტის (COR) ხელმძღვანელებმა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დელეგაციის წარმომადგენლებმაც მიიღეს.

საკრებულოს დელეგაციის ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

ქეთევან მამულაშვილმა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - გიორგი ახვლედიანთან, დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრთან- ლევან დარახველიძესთან ერთად, ჩინეთის რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრები გამართა.

ქართულ დელეგაციას ქალაქ გუანჯოუში ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სახალხო კონგრესის თავმჯდომარის მოადგილემ იუ მინგ იონგმა და აღნიშნული კონგრესის მუდმივმოქმედმა წევრებმა უმასპინძლეს. მხარეებმა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე, საცობების აღმოფხვრის გზებზე, ასევე პარკირების სისტემასა და ავტო პარკების შესახებ იმსჯელეს და აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით ერთმანეთს საკუთარი ქვეყნების გამოცდილება გაუზიარეს.

დეპუტატებმა, ასევე შეხვედრები გამართეს პეკინსა და გუან დუნგის პროვინციის ქალაქ შაოგოანსა და შენჟენში. შაოგოანის ვიცე მერმა ჩენლეიმ ქართულ მხარეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მუშაობის სპეციფიკა გააცნო, რის შედეგადაც შეხვედრის მონაწილეებმა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით განხორციელებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით ინფორმაციები გაცვალეს.

პეკინში თბილისის საკრებულოს წევრები სავაჭრო პალატის ხელმძღვანელს უანგ აიჯუნს შეხვდნენ, მცირე და საშუალო ბიზნესის განვიტარების პერსპექტივებზე ისაუბრეს და სამომავლო გეგმები დასახეს. ორი ქვეყნის მუნიციპალიტეტების მსგავსი შეხვედრები, ხშირი საქმიანი კომუნიკაცია და გამოცდილების გაზიარება, საქართველოს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთთანამშრომლობას კიდევ უფრო გააღრმავებს.

ინფორმაცია გენდერულ საბჭოში მონაწილეობის შესახებ

2018 წლის 22 მარტსა და 2018 წლის 24 მაისს გაიმართა გენდერული საბჭოს სხდომები, რომლებზეც განიხილეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა და გენდერული თანასწორობის საბჭოს სამუშაო ჯგუფის ფორმირება.

ანგარიშის მიმოხილვა

2017 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების შემდგომ ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე იდგა უამრავი გამოწვევა, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე სოციალური მიმართულებით. წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრების დროს იკვეთებოდა შემდეგი სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემები, მოუწესრიგებელი საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, დაზიანებული საკანალიზაციო, სანიაღვრე ქსელები, ამორტიზირებული სახლები და კორპუსის სახურავები, მოუწესრიგებელი სტადიონები, დაზიანებული პარკები და სკვერები უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი სათამაშო ატრაქციონებით. ყველა შეხვედრაზე დგებოდა წამლების ოპერაციული მკურნალობის, უმუშევრობის, უფასო სასადილოებში შექმნილი მძიმე პირობებისა და სხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის პრობლემა.

აღნიშნულ დოკუმენტში შევეცდები მიმოვიხილო რაიონულ გამგეობებთან, ქ. თბილისის მერიასთან, სახელმწიფო ინსტუტუციებთან და კერძო სექტორთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად გაწეული საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და განხორციელებული ღონისძიებები.

მაჟორიტარი წევრის წარმომადგენლობა და მისი საქმიანობა

სამგორის რაიონის მე-14 საარჩევნო ოლქის საზღვრებში შედის მოსკოვის გამზირი, ქვემო სამგორის დასახლება,აფრიკის დასახლება, კაიროს დასახლება და N31-ე საავიაციო ქარხნის მიმდებარე ქუჩები. იგი ფიზიკურად მოიცავს საკმაოდ დიდ ტერიტორიას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცებს შესახებ 2017 წლის 5 დეკემბრის N5-4 დადგენილების მე-15 მუხლის შესაბამისად, მაჟორიტარი საკრებულოს წევრის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საკრებულოს მაჟორიტარი წევრის უფლებამოსილების ვადით, შეიქმნა წარმომადგენლობა. წარმომადგენლობის ძირითადი ამოცანებია საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩეველთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებში მაჟორიტარი წევრის მუდმივი ინფორმირება და მასში მაჟორიტარის მონაწილეობის ხელშეწყობა. ასევე მნიშვნელოვანი საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში საზოგადოების მონაწილოების გაზრდის ხელშეწყობა.

ჩემი წარმომადგენლობა თავისი ამოცანების შესასრულებლად უზრუნველყოფს, რომ მოქალაქეთა მიღებას წარმომადგენლობის ოფისში, ასევე გეგმავს საჯარო შეხვედრებს. აწარმოებს მოქალაქეთა წერილების, საჩივრების, განცხადებების საქმისწარმოების ერთიან ელექტრონულ აღრიცხვას და შესწავლას, აკეთებს შესული წერილებისა და განცხადებების ანალიზს და ახდენს მათზე რეაგირებას. უზრუნველყოფს ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის ხელშეწყობას საკანონმდებლო ან/და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებთან, კერძო ან საჯარო დაწესებულებებთან, საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ასევე მედია საშუალებებთან ურთიერთობას.

წარმომადგენლობა მეხმარება ადგილობრივი პრობლემების გადაჭრის გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი გეგმის გაწერაში, მოქალაქეებთან კომუნიკაციასა და კანონის შესაბამისად ანგარიშის წარდგენაში. წარმომადგენლობა მზადაა, შეასრულოს ნებისმიერი კანონით ნებადართული ფუნქცია, რათა ხელი შეუწყოს ჩემი, როგორც მაჟორიტარი წევრის ეფექტიან და ნაყოფიერ მუშაობას.

წარმომადგენლობა თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული შესაბამის სამართლებრივი აქტების საფუძველზე. იგი მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმართველობის განმახორციელებელ ორგანოებთან: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიებთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან, კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან.

წარმომადგენლობ აქტიურად თანამშრომლობს სამგორის რაიონის გამგეობასთან და მის სტრუქტურული ერთეულის -ქვემო სამგორის საუბნო განყოფილებასთან

წარმომადგენლობა აქტიურად თანამშრომლობს შემდეგ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებსა და კომპანიებთან, კერძოდ:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო;
- სოციალური მომსახურების სააგენტო;
- შპს ,,ყაზტრანსგაზი“;
- სს. ,,თელასი“;
- კომპანია ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი (GWP) ;
- ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები.

წარმომადგენლობას მჭიდრო კომუნიკაცია აქვს ასევე, საქართველოს პარლამენტის სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროებთან.

წარმომადგენლობა ფუნქციონირებს ყოველ სამუშაო დღეს დილის 9:00სთ-დან 18:00სთ-მდე. ოფისში მოქალაქეთა მიღება მიმდინარეობს ყოველდღიურად. კვირის ერთი სამუშაო დღე კერძოდ ოთხშაბათი - გამოყოფილია მოქალაქეთა მიღებისათვის. შესაბამისად 2018 წლის თებერვლიდან დღემდე შევხვდით დაახლოებით 500-მდე ადამიანს და მოვახერხეთ 20-მდე შეხვედრის ორგანიზება.

შეხვედრებისას წარმოჩენილი პრობლემატიკა არის სხვადასხვა სახის. კერძოდ სოციალური, ჯანდაცვის, ურბანული და ინფრასტრუქტურული, სამართლებრივი, კულტურულ-საგანმანათლებლო. ყოველ კონკრეტულ საკითხს წარმომადგენლობის თანამშრომლებთან ერთად განვიხილავთ დამოუკიდებლად და ასევე საერთო ჭრილში. საკრებულოს წევრის კომპეტენციის ფარგლებში ყველა მოქალაქეს, პრობლემის მიხედვით გაეწია სხვადასხვა სახის კონსულტაცია, როგორც სიტყვიერად ისე წერილობითი ფორმით შუამდგომლობის სახით.

ჩემი ოლქის მაცხოვრებლებთან აქტიური შეხვედრები მაძლევს საშუალებას ვიცოდე რეალური პრობლემები, ხელი შევუწყო მათზე დროულ რეაგირებას და ნაყოფიერად ვიმუშაო ჩემს გუნდთან ერთად წარმომადგენლობაში, ქალაქისათვის და კონკრეტულად ჩემი სამაჟორიტარო ოლქის მოსახლეობისათვის აქტუალური პრობლემების გადაჭრაზე.

მინდა ავღნიშნო, რომ ხშირია მოქალაქეებთან საცხოვრებელ ადგილებზე და სხვადასხვა სახის შეხვედრებზე გასვლის პრაქტიკა, რამაც ძალიან კარგი შედეგი მოგვცა. ადგილზე მოსახლეობასთან უშუალო კომუნიკაციამ უფრო მარავლფეროვანი გახადა იმ პრობლემების სპექტრი, რაც მოსახლეობას აწუხებს. სულ 2018 წლის მანძილზე მოხერხდა ასეთი 23 გასვლითი შეხვედრის ორგანიზება, რის შედეგადაც შევხვდი დაახლოებით 600-მდე ადამიანს. აქედან 12 შეხვედრა დავუთმე მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების დათვალიერებას, დავესწარი სხვადასხვა ღონისძიებებს სკოლებში, ასევე სკოლამდელ დაწესებულებებში.

წლის განმავლობაში მოვინახულე ოლქის ტერიტორიაზე მდებარე ყველა საბავშვო ბაღი და გავეცანი იქ არსებულ სიტუაციას. წარმომადგენლობის თანამშრომლებთან ერთად დავათვალიერე თანამედროვე პროფესიული სასწავლებელი ,,სპექტრი“ და გავეცანი მის მუშაობას; დავსახეთ გეგმები ერთობლივი ღონისძიებების გამართვის შესახებ , რაც ჩემი აზრით ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში პროფესიული განათლების პოპულარიზაციას და დასაქმების შემცირებას; ასევე სამგორის რაიონის გამგებელთან ერთად მონაწილეობა მივიღე გარდაბნის გზატკეცილის N24ა-ში არსებული მთლიანი კორპუსისასთვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის საზეიმო ცერემონიალში.

ამა წლის 20 თბერვლიდან დღემდე წარმომადგენლობაში და საკრებულოში ჩემს სახელზე შემოსულია ათეულობით განცხადება სხვადასხვა სახის მოთხოვნებით. მათგან უმრავლესობა შეეხება ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, ბევრი მოქალაქე ითხოვს საცხოვრებელი ფართებისა და მიწის დაკანონებას, ხშირია მოთხოვნა მიზნობრივ დახმარებებზე, ასევე მედიკამენტოზურ და ოპერაციულ მკურნალობებზე, ასევე მწვავედ დგას დასაქმების პრობლემა.

სულ წლის განმავლობაში გაიცა 117 შუამდგომლობა მოქალაქეების მოთხოვნის საფუძველზე, აქედან:

- ინფრასტრუქტურა - 41
- მედიკამენტის დაფინანსება - 9
- მიზნობრივი დახმარება - 9
- საცხოვრებელი ფართების დაკანონება - 9
- სამედიცინო გამოკვლევა და დიაგნოსტიკა - 9
- დასაქმება - 20
- სიმბოლიკისა და სახელდების კომისია - 2
- ოპერაციის ხელშეწყობა - 2

- სოციალური საცხოვრისით დაკმაყოფილება - 6
- მიწის ნაკვეთის გაფორმება - 4
- სოციალური სტატუსის აღდგენა -1

- წიგნის გამოცემის ხელშეწყობა -1
- დავალიანების ჩამოჭრა - 3
- რეკონედაცია-1

  სამგორის N14 ოლქში ჩვენი შუამდგომლობით და სამგორის რაიონის გამგეობასთან ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად განხორციელდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაო:

სამგორის რაიონის ინფრასტრუქტურული პროექტები

გზის საფარი, საცხოვრებელი კორპუსების შიდა ეზოების კეთილმოწყობა, ბორდიულის მოწესრიგება, ზებრა გზებზე.

- ზემო მეტალურგიულის ქუჩა, ქინძმარაულის 37;
- ქინძმარაულის შესახვევი N 6ბ კორპუსის ეზო;
- მოსკოვის გამზირი 18-, კორპ. N1და N2-ის ეზოები(ორმოული);
- მოსკოვის გამზირი, კორპ. N48-ის ეზო კინოთეატრი ვარძიის მიმდებარედ(ორმოული);
- მოსკოვის გამზირი, კორპ. N41,43-ის ეზო;
- წმ. ბარბარეს უბანი. N119-ის მიმდებარედ;
- გუმათჰესის ქ. კორპ. N4ა;
- ბ. ხმელნიცკის ქ. კორპ. N17;
- მოსკ. გამზ. 1 კომპლ. კორპ. N1-N2;
- მოსკ. გამზ. 1 კომპლ. კორპ. N3-N4;
- იდუმალას ქ. N2, ენგურჰესის ქ. N2, გუმათჰესის ქ. N5-ის ეზო;
- ლორთქიფანიძის ქ. N42-ის ეზო;
- მე-2 ნავთლუღის დასახლება, მე-3 ქუჩის N1-დან ძაღლთა თავშესაფარამდე;
- ლორთქიფანიძის ქუჩა N20-22-ის მიმდებარედ;
- ლორთქიფანიძის ქ. N74-ის ეზო;
- ჭიჭინაძის ქუჩა, კორპ. N23ბ;
- ჭიჭინაძის ქუჩა, კორპ. N29;
- ჭიჭინაძის ქუჩა, კორპ. N29ი, 29,ვ,29ე, 29ზ;
- ჭიჭინაძის ქუჩა, კორპ. N29დ;
- ჭიჭინაძის ქ, N1 კორპ. N1-2-3-4-5-6-7 კორპუსები (ორმოული);
- წმ. ბარბარეს უბანი N108-დან N128-მდე (ორმოული);
- გუმათჰესის ქუჩა, ბ. ჭიჭინაძის ქუჩიდან 131-ე საჯარო სკოლისკენ (ორმოული);

- მოსკოვის გამზირი, 33 დ-ს მიმდებარედ;
- გუმათჰესის 7-9, იდუმალას 6-4;
- გარდაბნის გზატკეცილიდან წმ. ბარბარეს 128-მდე;
- ქიზიყის ქუჩა N13;
- მოსკოვის გამზირი. კორპ. N37/2;
- მოსკოვის გამზირი. კორპ. N39/3;
- მოსკოვის გამზირზე ,,ვეჯინთან“ ორფეროვანი ,,ზებრა“ გადასასვლელები დაიხაზა;

სკვერი, სტადიონი და ფიტნეს ზონა მოეწყო:

- მე-2 ნავთლუღის დასახლება, მე-3 ქუჩის N1-ის მიმდებარედ -სტადიონი;
- ოცხელების ქუჩა #30-ის მიმდებარედ - სტადიონი;
- მოსკოვის გამზირი კორპუსი #18-ის მიმდებარედ - სტადიონი;
- II ნავთლუღის დასახლება, მე-IV ქუჩის მიმდებარედ - სტადიონი;
- გუმათჰესის ქ. N2-ის მიმდებარედ - სტადიონი;
- ოცხელების ქ. N25-ის მიმდებარედ - სტადიონი;
- ქინძმარაულის შესახვევი კორპ. N21 - მიმდინარეობს სკვერის მოწყობა;
- ქინძმარაულის შესახვევი N1 კორპ.-ის მიმდებარედ - სტადიონი;
- მოსკოვის გამზირი #35, კორპუსი #2-ის მიმდებარედ - მოეწყო ფიტნეს ზონა ტრენაჟორებით;
- გუმათჰესის ქუჩა, კორპუსი #10-ის მიმდებარედ - - მოეწყო ფიტნეს ზონა ტრენაჟორებით;
- ქიზიყის ქუჩა, კორპუსი #9-ს მიმდებარედ - მოეწყო სკვერი;
- გუმათჰესის ქუჩა, კორპუსი #2-ის მიმდებარედ - მოეწყო სკვერი;
- ძმები ოცხელების ქუჩა #25ა-ს მიმდებარედ - მოეწყო სკვერი;
- გარდაბნის გზატკეცილის მიმდებარედ - - მოეწყო სკვერი;
- ბოგდან ხმელნიცკის 181 , თბილავიამშენის მიმდებარედ - მოეწყო სკვერი;
- მოსკოვის გამზირი N14-ის მიმდებარედ - მოეწყო სკვერი;
- ჭიჭინაძის 29ბ - რეაბილიტირდა და მოეწყო სკვერი;
- ლორთქიფანიძის ქ. N74-ის მიმდებარედ - მიმდინარეობს რეაბილიტაცია სკვერის;

- ლორთქიფანიძის ქუჩის მიმდებარედ - რეაბილიტირდა და მოეწყო სკვერი;
- ქინძმარაულის 2 შესახვევი კორპ. N6ბ. - დაიდგა ფანჩატური;
- ცისკარიშვილის ქ. კორპ. "ბ" – დაიდგა ფანჩატური;
- ქინძმარაულის 1 შესახვევი კორპ. N15. - დაიდგა ფანჩატური;
- ბ. ხმელნიცკის 5 - დაიდგა ფანჩატური;
- ცისკარიშვილის ქ. კორპ. "ჟ" – დაიდგა ფანჩატური;
- ქინძმარაულის შესახვევი, კორპუსი #17 - დაიდგა ფანჩატური;
- ბ. ხმელნიცკის 5ა - დაიდგა ფანჩატური;
- ბ. ხმელნიცკის 4 – დაიდგა ფანჩატური;
- მოსკოვის გამზირი N38 - დაიდგა ფანჩატური;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დაფინანსების ახალი წესის შესაბამისად მოწესრიგდა:

- მოსკოვის გამზირი მე-5 კვ, კორპ N11, ამხ ,,მეზობლობა 2015“ - მოწესრიგდა შიდა წყალკანალიზაცია;
- ქიზიყის ქუჩა , ამხ ,,იმედი 2009’’ - N2-ში კორპუსის წყალსაწრეტი მილებისა და ქანობიანი სახურავის შეკეთება დასრულდა.
- ჭიჭინაძის ქუჩა ნ1, კორპ N6 ამხ ,,სავანე“ - მოწესრიგდა შიდა წყალკანალიზაცია.
- მოსკოვის გამზირი მე-5 კვ, კორ N2, ამხ ,,ერთობა“ - მოწესრიგდა წყალსაწრეტი მილები და კორპუსი გადაიხურა ბრტყელი სახურავით;
- ქინძმარაულის ქუჩა , კორპ N2ა, ამხ ,,ძალა ერთობაშია“ -მოწესრიგდა წყალსაწრეტი მილები და კორპუსი გადაიხურა ქანობიანი სახურავით;
- ძმ. ოცხელების ქუჩა, კორპ N25ა , ამხ ,,თანადგომა“ - კორპუსი გადაიხურა ბრტყელი სახურავით;
- ქინძმარაულის ქუჩა კორპ N51, ამხ ,,იმედი 2012“ --მოწესრიგდა წყალსაწრეტი მილები და კორპუსი გადაიხურა ქანობიანი სახურავით;
- ჭიჭინაძის ქუჩა, კორპ N10, ამხ ,,კინტო“ - მოწესრიგდა წყალსაწრეტი მილები;
- გუმათჰესის ქუჩა , კორპ N16, ამხ ,,იმედი 2006’’ - დამონტაჟდა სენსორული სანათები.
- ქინძმარაულის შეს, კორპ N21, ამხ ,,გოორგი“ - გადაიხურა ბრტყელი სახურავით;
- გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა, კორპ N22/ ამხ ,,ლორთქიფანიძის N22“ - მოწესრიგდა შიდა წყალკანალიზაცია.

- წმ. ბარბარეს უბანი, სახლი N181/ ამხ ,,ჩვენი ეზო“ - გარემონტდა სადარბაზოები.
- ქინძმარაულის შეს, კორპ N2 / ამხ ,,ჩვენი ეზო“ - მოწესრიგდა წყალსაწრეტი მილები და კორპუსი გადაიხურა ბრტყელი სახურავით;
- წმ. ბარბარეს უბანი, სახლი N215/ ამხ ,,ერთობა 2“ - გაკეთდა სადარბაზოების რემონტი;
- გუმათჰესის ქუჩა, კორპ N13/ ამხ ,,სიმბა“ მოწესრიგდა წყალკანალიზაცია;
- ჭიჭინაძის ქუჩამ კორპ N1, კორპ N3/ ამხ ,,ცისარტყელა“ -- მიმდინარეობს წყალკანალიზაციის მოწესრიგება;
- მოსკოვის გამზირი, კორპ N50ა/ ამხ ,,ნათება“ - დამონტაჟდა სადარბაზოს კარი;
- მოსკოვის გამზირი N39, კორპ N3 / ამხ ,,პირველი მერცხალი“ - მიმდინარეობს სადარბაზოს კიბის გაკეთება;
- მოსკოვის გამზირი მე-2 კვ, კორპ N3/ ამხ ,,პირველი მერცხალი - დასრულდა სადარბაზოების რემონტი;
- ჭიჭინაძის ქუჩა N10ა, კორპ N2/ ამხ ,,იმედი“ - დამონტაჟდა სენსორული განათება და კორპუსი გადაიხურა ბრტყელი სახურავით;
- ბ.ხმელნიცკის ქუჩა , კორპ N5ა/ ამხ ,, იმედი“ - მიმიდნარეობს შიდა წყალკანალიზაციის მოწესრიგება;
- ქინძმარაულის შეს, კორპ N25/ ამხ ,,საქართველო გაბრწყინდება“ - ამოივსო სართულებშუა ნაპრალები;
- ბ.ჭიჭინაძის ქ. კორპ N25/ ამხ ,,ჭიჭინაძის“ - მოწესრიგდა შიდა წყალკანალიზაცია;
- გ.ლორთქიფანიძის ქუჩა , კორპ N26/ ამხ ,, დიოსკურია“ - მოწესრიგდა შიდა წყალკანალიზაცია;
- გუმათჰესისი ქუჩა, კორპ N5/ ამხ ,, ლიდერი“ - გამონტაჟდა სენსორული განათებები;
- ნაკადულის ქუჩა, კორპუსი N4/ ამხ ,,ბალაბარი“ - მიმდინარეობს კორპუსის კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები;
- ქინძმარაულის ქ. კორპ N51/ ამხ ,,იმედი 2012“ - მიმდინარეობს სადარბაზოს კიბის შეკეთება;
- ნაკადულის ქუჩა, კორპ N2/ ამხ ,,ენერგია“ - მოწესრიგდა შიდა წყალკანალიზაცია;
- ნაკადულის ქუჩა, კორპ N2/ ამხ ,,ენერგია“ - ამოივსო სართულშორის ნაპრალები;
- მოსკოვის გამზირი35, კორპუსი N4/ ამხ ,,ბეკო“ - მოწესრიგდა შიდა წყალკანალიზაცია და დამონტაჟდა სადარბაზოს კარი;
- გუმათჰესის ქუჩა, კორპ N16 - დამონტაჟდა სენსორული განათება;
- საცხოვრებელი კორპუსების შიდა წყალარინების ქსელები მოწესრიგდა ჭიჭინაძის ქუჩა, კორპუსი N6;

- საცხოვრებელი კორპუსების შიდა წყალარინების ქსელები მოწესრიგდა მოსკოვის გამზირი, მე-5 კვარტალი, კორპუსი N11;
- ახალი კარი დამონტაჟდა მოსკოვის გამზირი N35, კორპუსი N4 (2 კარი);

სანიაღვრე სისტემა მოწესრიგდა და გარე წყალანირების ქსელი მოეწყო:

- წმინდა ბარბარეს უბანი #128_დან გარდაბნის გზატკეცილი #108_მდე - სანიღვრე;
- ჭიჭინაძის ქ. 19ა - საკანალიზაციო ქსელი;
- ჭიჭინაძის ქ. 29ე - საკანალიზაციო ქსელი;
- ჭიჭინაძის ქ. კორპ. N25 - საკანალიზაციო ქსელი;
- მოსკოვის გამზირი. კორპ. N36ე - საკანალიზაციო ქსელი;
- ზ/მეტალურგიულის დასახლება - საკანალიზაციო ქსელი;
- მოსკოვის გამზირი. კორპ. N36დ და 36გ - საკანალიზაციო ქსელი;

საყრდენი კედლის მშენებლობა განხორციელდა:

- ქინძმარაულის I-ლი შესახვევი, კორპუსი #22-ის მიმდებარედ -კედელი;
- მოსკოვის გამზირზე, მე-5 კვარტლის N4 კორპუსთან საყრდენი კედლის მშენებლობა.
- მე-II ნავთლუღის დასახლების მე-3 ქუჩა, სახლი #14, 25 და 40-ის მიმდებარედ - რკინა-ბეტონი;

სოციალური მიმართულება:

დახმარება	რაოდენობა (მოქალაქე)	თანხა
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	603	190258.24
მედიკამენტის დაფინანსება	1602	223248.18
მიზნობრივი ფინანსური დახმარება	577	127714.99
მიზნობრივი ფინანსური დახმარება, სამშენებლო მასალების შესაძენად	23	15882.42

- ქირით ისარგებლა 73 ოჯახმა - თანხა 20280;
- უფასო სასადილოებით(4) მოსარგებლე ძირითადი სიის ბენეფიციართა რაოდენობაა 1970 და დამატებითი სიის ბენეფიციარი 197.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამგორის რაიონის მაჟორიტარი წევრი ქეთევან მამულაშვილი და მისი წარმომადგენლობა კვლავ აგრძელებს ინტენსიურ მუშაობას მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად. მოქალაქეებთან ერთად პრიორიტეტების განსაზღვრა და ერთობლივი ძალისხმევით პრობლემების მოგვარება მაჟორიტარის შემდგომი საქმიანობის უმთავრესი ამოცანა იქნება.